თბილისის თავისუფალი აკადემია

მონიტორინგის ანგარიში

2020 წელი

შინაარსი

- დოკუმენტის დანიშნულება
- მონიტორინგის პროცესის აღწერა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მონიტორინგი
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფა
- ორგანიზაციული განვითარება
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება/მხარდაჭერა
- მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება
- სტუდენტთა ჩართულობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა
- პოფესიული და აკადემიური პროგრამების შემუშაბვება და დანერგვა
- შეფასება

დოკუმენტის დანიშნულება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და

რელევანტურობის განსაზღვრის უპირობო მექანიზმია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ, ძლიერი და გასაუმჯობესელი მხარეების ზუსტ იდენტიფიცირებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები ეხმარება დაწესებულებას შეაფასოს ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი - KPI (Key Performance Indicator) და ნათლად დაინახოს, თუ რამდენად კარგად ართმევს თავს ცალკეული სტრუქტურული ერთეული ან მისი წარმომადგენელი სტრატეგიული სამოქმედო გეგმით მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა რელევანტური საქმიანობის შემდგომი სრულყოფისთვის.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია თბილისის თავისუფალ აკადემიაში სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად განსახორციელებლად, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დასადგენად და მათზე შესაბამისი რეაგირების დასაგეგმად მოხდეს სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგი და შესრულების ხარისხის შეფასება 2020 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის პროცესის აღწერა

აკადემიაში შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმების განხორციელება სისტემური და ვალიდური პროცესია. მონიტორინგის მექანიზმები მორგებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული საქმიანობების სპეციფიკაზე და შესაბამისად, მოიცავს მონიტორინგის განხორციელების ვადებს, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

საანგარიშო პერიოდისათვის აკადემიის სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო შემდეგი მიზნები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და იმპლემენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, შემუშავება და დანერგვა;
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის, მათი მოზიდვის და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება და კვლევების მხარდაჭერა;
- მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი ერთმანეთან დაკავშირებულ სამ ეტაპად განხორციელდა. კერძოდ:

მონაცემთა შეგროვება - მონიტორინგის პერიოდში სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს დაევალათ მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესრულების შემოწმება, შეფასება, ხარვეზების დადგენა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება.

შეგროვებული მონაცემების ანალიზი - განხორციელდა შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.

მიღებულ შედეგებზე რეაგირება - რადგან ჩვენი საბოლოო მიზანი სამოქმედო გეგმაში დასახული მიზნების მიღწევაა, რიგ შემთხვევებში საჭირო გახდა ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ველში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად ჩამოთვლილთაგან რომელ ველში შევიდა საჭირო ცვლილება, დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მონიტორინგი

მიზანი N1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და იმპლემენტაცია

ამოცანა 1.1. ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესება

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის თავისუფალ აკადემიაში მიმდინარეობდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა და მათი ეფექტური გამოყენება მართვის პროცესში. კოორდინირებულად განხორციელდა სასწავლო პროცესის ორგანიზება, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელება. ამავდროულად, განხორციელდა აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიცირება.

ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა

მოდიფიცირდა/შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის მთელი რიგი სამართლებრივი დოკუმენტები: ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა, ხარისხის მართვის პოლიტიკა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი. შემუშავებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების (თვითშეფასების) მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები, მათი ანალიზი და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები.

ამოცანა 1.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

საანგარიშო პერიოდში თბილისის თავისუფალ აკადემიაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები, ვორკშოფები, სამუშაო შეხვედრები ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების ამაღლების მიზნით. პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით დაინერგა პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები. კერძოდ, გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებაზე. ასევე, ჩატარდა პლაგიატის საპრევენციო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული შეხვედრები პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მიზანი N2. საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, შემუშავება და დანერგვა

ამოცანა 2.1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა/მოდიფიცირება

საანგარიშო პერიოდში სრულად მოდიფიცირდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი სასწავლო კურსები და საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა. მიმდინარე პროცესების შესაბამისად კრედიტების გადანაწილება განხორციელდა სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, განხორციელდა სწავლის გაზომვადი და შეფასებადი შედეგების ფორმულირება, როგორც პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში და მათი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოზე მორგება. მოდიფიცირდა სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდები. ძირითადი სწავლების სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსები. მოხდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის მოდერნიზება, მოხდა პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის მოდერნიზაცია, განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი, რომელიც მიღწევადია და ნათლად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე

კურსდამთავრებულის მომზადებისაკენ არის მიმართული პროგრამა. განისაზღვრა პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეები (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისათვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს, შემუშავდა შეფასების მეთოდები და შეფასების ფორმები, დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები, გაძლიერდა ინგლისური ენის კომპონენტი, უახლესი ლიტერატურით გამდიდრდა სავალდებულო ლიტერატურა, ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციისა და სასწავლო პროცესის მუშაობის ეფექტურობის მიზნით გაიზარდა აკადემიური, აფილირებული, მოწვეული და პრაქტიკოსი სპეციალისტების რაოდენობა.

ამოცანა 2.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების იმპლემენტაცია

აკადემიამ განახორციელა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, რომლის საფუძველზეც შეიმუშავა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. შემუშავებულ იქნა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სამი მიმართულება - ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების (I-IV კლასები) მასწავლებელი, დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებელი და ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) მასწავლებელი.

ამოცანა 2.3. საგანმანმათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში აკადემიამ განახორციელა მოდიფიცირებულ და ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფის შექმნა და პროგრამების აკრედიტაციისათვის მომზადება.

მიზანი N3. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის, მათი მოზიდვის და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა

ამოცანა 3.1. საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის მოქნილი პოლიტიკის შემუშავება

აკადემიამ შეიძინა ახალი სტუდენტური ელექტრონული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესებში აქტიურ ჩართულობას და მათ მაქსიმალურ ინფორმირებულობას.

ამოცანა 3.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება

თბილისის თავისუფალ აკადემიაში ჩატარდა (ყოველწლიური) რიგით XXI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ბიზნესი 2020 თანამედროვე ასპექტები და აქტუალური პრობლემები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე უცხოელმა პროფესორებმა და სტუდენტებმა. აღსანიშნავია საკონფერენციო თემის აქტუალობა, რაც უკავშირდება ბიზნესის კონცეპტუალურ პარადიგმებსა და ექსტრაპოლაციურ ხასიათს და ასევე ციფრული ეპოქის გლობალურ მასშტაბებს.

ამოცანა 3.3. სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობა, როგორც შემეცნებითი, ასევე ინტელექტუალური სახით

განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში აკადემიაში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები სტუდენტებთან.

14.12.2020 - ტრენინგი „სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება Web of Science, scopus, SCImago Journal Rank რეიტინგულ ბაზებში“ (შეხვედრა 2);

11.12.2020 - ტრენინგი "პიროვნული ურთიერთობების შეწყობის ძირითადი პარამეტრები";

10.12.2020 - ტრენინგი „თანამედროვე ეკონომიკური ტრენდების გავლენა ბიზნესზე“;

29.10.2020 - ტრენინგი „ეფექტურობის ფორმულა - „შ/რს - ბალანსი“;

28.10.2020 - ტრენინგი „სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება Web of Science, scopus, SCImago Journal Rank რეიტინგულ ბაზებში“ (შეხვედრა 1);

19.10.2020 - შეხვედრა თემაზე: „Online სწავლების საკვანძო საკითხები, პრობლემები და გადაჭრის გზები“;

09.10.2020 - ტრენინგი „რა არის ლედერობა?“;

02.10.2020 - შეხვედრა თეატრალური სფეროს წარმომადგენელთან;

29.09.2020 - ტრენინგი „შემოქმედებითი მიდგომები თანამედროვე სპეციალისტების მომზადებაში“;

22.09.2020 - ტრენინგი „მე მარტო არ ვარ“;

27.07.2020 - ტრენინგი „სპიკერფობია“;

08.07.2020 - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბიზნესი 2020 – თანამედროვე ასპექტები და აქტუალური პრობლემები“;

25.06.2020 - ტრენინგი „აბეზარი PR“;

19.05.2020 - ტრენინგი "COVID-19 და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები";

15.05.2020 - ტრენინგი „ოფიციალური სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა“;

05.05.2020 - ტრეინინგი „PR“;

09.04.2020 - ტრეინინგი „მარკეტინგის კონცეფციების უახლესი მიდგომები“;

21.04.2020 - ტრეინინგი „მოტივაციის ძალა“;

05.03. 2020 - მასტერკლასი „წარმატების გზა“;

16.03.2020 - ტრეინინგი „იურიდიული ფსიქოლოგია და თანამედროვეობა“;

მიზანი N4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება და კვლევების მხარდაჭერა;

ამოცანა 4.1. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა

საანგარიშო პერიოდში აკადემიაში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: ბალტიის საერთაშორისო აკადემია (ლატვია); ერევნის ჩრდილოეთ უნივერსიტეტი; “KROK” - ის უნივერსიტეტი; პირეუსის უნივერსიტეტი; პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტი; საერთაშორისო საბუღალტრო ტრენინგ ცენტრი; უკრაინის დისტანციური და მობილური სწავლების ფორუმი.

ამოცანა 4.2. საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების ამოქმედება

2020 წლის სექტემბერში ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გაიმართა დოქტორ მარინა გუნარეს, ბალტიის საერთაშორისო აკადემიის პროფესორის (ლატვია), ტურიზმის მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელის ტრენინგი Online ფორმატში თემაზე: „შემოქმედებითი მიდგომები თანამედროვე სპეციალისტების მომზადებაში“.

2020 წლის დეკემბერში ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა ბალტიის საერთაშორისო აკადემიის დოქტორის, ეკატერინე ვოზნიუკის საჯარო გამოსვლა - მოხსენების თემა: "თანამედროვე ეკონომიკური ტრენდების გავლენა ბიზნესზე".

ამოცანა 4.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერა

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მხარდაჭერის მიზნით 2020 წლის 08 ივლისს თბილისის თავისუფალ აკადემიაში ჩატარდა (ყოველწლიური) რიგით XXI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ბიზნესი 2020 თანამედროვე ასპექტები და აქტუალური პრობლემები“.

ინსტიტუციამ განახორციელა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დაფინანსება და წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშომები და სტატიები განათავსა აკადემიის ყოველწლიურ ჟურნალში.

მიზანი N5. მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება

ამოცანა 5.1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაფართოება

2020 წლის დასაწყისში განახლდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ადმინისტრაციული შენობა, განახლდა დავით სარაჯიშვილის სახელობის საკონფერენციო დარბაზი, ხოლო კომპიუტერული კლასი აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, ასევე შეიქმნა ახალი სივრცე სტუდენტთათვის და მოეწყო სტუდენტური ლაუნჯი ლუქსი თანამედროვე კრეატიული დიზაინით, კეთილმოეწყო სტუდენტთთვის განკუთვნილი აკადემიური და თავისუფალი სივრცეები, სრულიად განახლდა აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, რომელსაც დაემატა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, თავისუფალი სივრცე, კეთილმოეწყო ექიმის კაბინეტი, დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები და არსებობს შესაბამისი ინვენტარი. შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ 24 საათიან რეჟიმში ვიდეო მონიტორინგს. აკადემიის შენობაში ხელმისაწვდომია ყავისა და საკვები აპარატები. გამოიყო შესაბამისი ფინანსური რესურსი და შეძენილ იქნა მცენარეები დაწესებულების ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით.

ამოცანა 5.2. საბიბლიოთეკო რესურსების განახლება/განვითარება

აკადემიის ბიბლიოთეკაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო სახელმძღვანელო. საანგარიშო პერიოდში აკადემიამ შეიძინა უახლესი ლიტერატურა მატერიალური სახით. აკადემიის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ქსელში, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ სამეცნიერო ბაზაზე ღია წვდომის შესაძლებლობას.

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლება/განვითარება

განხორციელდა აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდისა და სოციალური გვერდის განახლება და გაფართოება. კომპიუტერული კლასი აღიჭურვა უახლესი ტექნიკით და შესაბამისი მატერიალური რესურსით

შეფასება

მონიტორინგისა და შეფასების ობიექტურმა და თანამონაწილეობითმა პროცესმა უზრუნველყო თითოეული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის სათანადო მოტივაცია და ყურადღების კონცენტრირება მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობების შემოწმებაზე, შეფასებაზე და რეაგირებაზე. აკადემიის სტრუქტურულმა ერთეულებმა, მიუხედავად მცირედი ხარვეზებისა, აჩვენეს მაღალი მოქნილობა და ცვალებად გარემოსთან ადაპტირების მაღალი ხარისხი.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თბილისის თავისუფალი აკადემიის სტრუქტურულმა ერთეულებმა წარმატებით გაართვეს თავი სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულებას. ამოცანათა უდიდესი ნაწილი სრულად შესრულდა, ხოლო ნაწილზე მუშაობა განგრძობადია დროში. თუმცა, ამავდროულად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ოპტიმიზაციას იმგვარად, რომ მოხდეს ცალკეული მიზნების გამსხვილება, ან მათი ნაწილების ინკორპორირება, დამატებითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა აკადემიის დეკლარირებული მიზნების შესაბამისად. ასევე, ცალკეული აქტივობის ინდიკატორები საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას.

შესაბამისად, ვინაიდან სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის იმპლიმენტაციის პროცესისა და შესრულებული აქტივობების შეფასებას, მონიტორინგით გამოვლენილი ვითარების თუ პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს,

მონიტორინგი და შეფასება მოიცავს უკუკავშირის ეტაპსაც. ყოველივე გულისხმობს იმას, რომ მონიტორინგის ანგარიშის საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად, მოხდეს სტრატეგიული გეგმის კორექტირება და შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში ან/და სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები. ეს იქნება საუკეთესო საშუალება, რათა სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაცია, ასევე მომავალი სტრატეგიული დაგეგმვა ფორმულირებული იქნეს წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

დასკვნა

რეკომენდაცია 1 - გაღრმავდეს შემოქმედებითი მიდგომები თანამედროვე სპეციალისტის მომზადების პროცესში;

რეკომენდაცია 2 - მოდერნიზდეს აკადემიის ყოველწლიური ჟურნალი „ივერონი“ და განხორციელდეს რებრენდინგი;

რეკომენდაცია 3 - აკადემიის ყოველწლიური ჟურნალი „ივერონი“ გახდეს რეფერირებადი;

რეკომენდაცია 4 - გაგრძელდეს ურთიერთთანამშრომლოითი პროცესი ინტერნაციონალიზაციის გასაღრმავებლად;

რეკომენდაცია 5 - მოხდეს სტუდენტური ბაზის ფუნქციონალური მოდულების გაფართოება;

რეკომენდაცია 6 - ფინანსური მდგრადობის კვლავ გასაუმჯობესებლად გაგრძელდეს მუშაობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.